№ 71

პარასკევი, 7 აპრილი 1895

1877—1895

# ივერია

№

პარასკევი, 7 ა

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლ...
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი№ 227



**კნეინა დესპინე გრიგოლის ასული წერეთლისა შვილე-ბითურთ** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა მეუღლისა თვისისა **თავადის პაპუნა როსტომის ძის წერეთლისას** და სთხოვს მობრძანდნენ 13 აპრილს, დაბა საჩხერეში, საიდგანაც მიცვალებული გასვენებულ იქნება ჯრუჭის მონასტერში. (2—1150—1)

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ
დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა 7 მ ა ი ს ს.

ვისაც სურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს **კნ. ოლღა თადეოზის ასულს ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა ს.**

(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი № 21).

## ვ კ ი ს რ უ ლ ო ბ

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე ...ხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთ... **მამულების განკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოვგმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 ...ამდე.

ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17. (15—4)

## პაჩხეტი კბილის ექიმთა

**ვ. ი... იჭინაძისა** და **ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**

...იხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

...ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—... და საღამოს 4—7 საათამდე.

მსურს შევადგინო მეგიტარეთა ...ანაგობა და ამიტომ ვთხოვ მხოლოდ ყველა იმ ქართველთ, ვინც-კი ...ტარაზედ დაკვრა იცის, მობრძანდეს ჩემთან ამ საგნის შესახებ მოსალაპარაკებლად კვირას, 9 ამ თვისას, ნაშუადღევის 3 საათზედ.

ადრესი: ანჩხატის უბანი, პოლიციის ქუჩა № 27.

სარონ იანქოშვილი.

(2—უ.—1)


### გამგეობა

ტფილისის საურთიერთო სასოფლო მეურნეობის კრედიტის საზოგადოებისა ამით აცხადებს, რომ 25-ს ამა მდგომარე მარტიდამ მიიღებს არზებს მათგან, ვინც მოისურვებს კრედიტი იქონიოს ხსენებულ საკრედიტო დაწესებულებისაგან და წევრად ჩაეწეროს. წევრად შესაძლოა ჩაეწერონ და კრედიტი იქონიონ ყველამ, წოდებისა ‌და სქესის განურჩევლად, სოფლელს და ქალაქელსა. რა გვარად და რა სახით უნდა დაწერილ იქმნას არზა, ამისათვის საჭიროა მიჰმართონ თვით გამგეობას, რომელიც დროებით მოთავსებულია ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში, და ყველა საჭირო ცნობას იქ მიიღებენ.

თხოვნები მსურველთ შემდეგის ფორმით უნდა დასწერონ.

ტფილისის საურთიერთო სასოფლო მეურნეობის კრედიტის საზოგადოების გამგეობის მიმართ

(წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი; რომელ მაზრიდგან.)

თხოვნა

უმორჩილესად გთხოვთ, მიშუამდგომლოთ, რათა მიღებულ ვიქმნე საზოგადოების წევრად, შემომაქვს რა (აღნიშნულ უნდა იქმნა ფულის რაოდენობა). ამასთანავე პატივი მაქვს გაუწყოთ შემდეგი ცნობები:

1) მაქვს უძრავი მამული (სად იმყოფება, რა მამულია, დაახლოვებით რამდენი ღირს, დაგირავებულია თუ არა და ან რა ფასში?)

2) ჩემი ხელობაა (მიწათ-მოქმედება თუ რაიმე ხელობა?)

3 ვვაჭრობ 18—წლიდგან (რა საქონლით?) წელიწადში დაახლოვებით ა) (       ) მანეთის საქონელსა ვყიდულობ ბ) და ვყიდი (       ) მანეთისას.

4) ვასრულებ თანამდებობას. ცა

5) ვსარგებლობ კრედიტით (რომელ საკრედიტო დაწესებულებაში და ან რა ზომით)

ხელის მოწერა.

საცხოვრებელი ადგილი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერელნი ვამოწმებთ, რომ ამა თხოვნას ნამდვილად ხელს აწერს

ხელის მომწერლები:

## ახალი ამბავი

*** სამშაბათს, 4 აპრილს, ტფილისში ჩამოვიდა უმართებულესის სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის ობერ-პროკურორის თანამდებობის აღმასრულებელი სენატორი ა. ფ. კონი. როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, ბ-ნი კონი კავკასიის სამოსამართლო დაწესებულებათა სარევიზიოთ არის გამოგზავნილი.

*** ამ დღეებში სოხუმის ოლქში მიდიან მიწის-მზომელები, რომელთაც მთავარ-მართებლის კანცელარია ჰგზავნის მიწის გასამიჯნავად.

*** ტფილისის სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ტფილისის ოლქის სასამართლოს განაჩენი შესახებ თავ-ნიკო ჩხეიძის სახლზედ თავ-დასხმისა. ამ განაჩენის ძალით არდიშვილი, ამაშუყელი და ლექავა მადნებში სამუშაოდ გაიგზავნებიან.

*** სახელმწიფო საბჭოს წევრის ნ. ს. აბაზას თავმჯდომარეობით დაარსებულა კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს შავის ზღვის ნაპირებზედ დასახლების საქმე. კომისიის წევრებად არიან ფინანსთა, სამხედრო, შინაგან საქმეთა, სამიწათ-მოქმედო და გზათა მინისტრები. გარდა ამისა სამიწათ-მოქმედო სამინისტრო ჰგზავნის შავის ზღვის ოლქში აგრონომებს და მიწის მზომელთ, რომელთაც მინდობილი ექმნებათ ადგილების აღწერა და გამიჯვნა.

*** „ნოვ. ობოზ.“-ის სიტყვით ტფილისში ამბავი მოსულა, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი პუშეჩნიკოვი გადაჰყავთ ციმბირის რკინის გზაზედ; მის ადგილზედ დაინიშნებაო ინჟინერი ვედენეევი, ყარსის გზის მკეთებლად-კი ინჟინერი შმიდტი.

*** მილანიდგან (იტალია) გვწერს ერთი ჩვენი კორესპონდენტი, რომ „ამ დღეებში პეტერბურგს გავისტუმრეთ ახალგაზრა მომღერალი ბ-ნი კაკაბაძე. კაკაბაძე სამის წლით იყო გამოგზავნილი პეტერბურგის სათეატრო დირექციის ხარჯით გალობაში გასავარჯიშებლად. დღეს-კი დაასრულა თავისი საქმე და პირველი დებიუტი სააღდგომოდ ექნება მარიამის თეატრში. ამ ყმაწვილ კაცს შესანიშნავი ტენორი აქვს და იმედია, მალე სახელსაც გაითქვამსო. ამ ზაფხულს განზრახვა აქვს, საქართველო დაიაროს და კონცერტები გამართოს ხოლმე ტფილისსა, ქუთაისსა, ბათუმსა, გორსა და ბაქოშიო“.

*** შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე დაამთავრა და ამ დღეებში სახელმწიფო საბჭოში შეიტანა პროექტი ახალის საქალაქო დებულების შესახებ. ეს ახალი საქალაქო დებულება შემოღებულ იქნება სამხრეთ-კავკასიისა და ამიერ კავკასიის იმ ქალაქებში, სადაც ქალაქის თვით-მმართველობის მაგიერობას პოლიცია ასრულებდა. ეს პროექტი სავსებით შემოღებულ იქნება განჯასა, შუშასა და ალექსანდროპოლში, შემოკლებით: თელავსა, სიღნაღსა, დუშეთსა, ახალქალაქსა (ტფილისის მაზრაში), ახალ-ბაიაზეთსა, ნახიჩევანსა, ორდობათსა (ერევ. გუბ.), ყუბასა, ლენქორანსა, შემახასა (ბაქოს გუბერ.), სოხუმსა, ოზურგეთსა (ქუთ. გუბ.), ნუ-

## ფელეტონი

### ქრისტეს ღამე

(ნ. შჩედრინისა)

მინდორ-ველი ჯერ ისევე გაფიჩხებულია, მაგრამ ღამის ღრმა დუმილში თოვლის ქვეშე უკვე გაისმის ახლად გაღვიძებულ წყაროთა ჩუხჩუხი. ხევებსა და ღრანტეებში ჩუხჩუხს ყრუდ გააქვს ხმაურობა და მგზავრს აფრთხილებს, რომ ამ ადგილას გზა დაოღრო-ჩოღროვებულიაო. ტყე-კი ჯერ ისევ სდუმს, თრთვილით დაფარული, თითქოს საარაკო გმირსავით თავზედ რკინის ზუჩი ეხუროსო. ბნელი ცა მოჭედილია ვარსკვლავებით, რომელნიც დედამიწაზედ ცივსა და მკრთალს ნათელს განაბნევენ. მისს თვალის მაცდუნებელს სინათლეში შავ წერტილებად მოსჩანს თოვლით შემოსილი ხეები. ბეჭედი ობლობისა, ვერანობისა და უპოვარობისა დასდებია გაყინულს მინდორ-ველსაცა და სოფლის მდუმარე გზასაც. ყოველივე უნუგეშოდ და მდუმარედ არის შეჯაჭვული, თითქოს უხილავისა, მაგრამ მრისხანე ბატონისაგანაა დამონებულ დაჩაგრულიო.

მაგრამ აგერ ერთის მხრიდგან გაისმა გუგუნი შუაღამის ზართა რეკვისა; იმას სხვა მხრიდგან მეორე ზარმა მისცა ბანი, მერე მესამემ და მეოთხემ. ღამის ბნელში გამოჩნდა ეკკლესიათა ანთებული თავები და მიდამო ერთს წამს გამოცოცხლდა. გზაზედ სოფლის ხალხი ამოძრავდა; წინ მიდიოდნენ ბეჩავნი, ცხოვრებითა და სიღარიბით დაჩაგრულნი, გულ-ნაღვლიანნი და თავ-ჩაქინდრულნი. უფლის ტაძარში თავისი სიმდაბლე და სულთქმა მიჰქონდათ; ეს იყო ყოველივე ის, რის შეძლვნაც-კი შეეძლოთ აღდგომილის უფლისათვის. იმათ უკან, მოშორებით, მოდიოდნენ სადღესასწაულო ტანთ-საცმელში გამოწყობილნი სოფლის შეძლებულნი, ჩარჩნი და სხვანი ხელისუფალნი სოფლისანი. ისინი მხიარულად ჟღრიამულებდნენ ერთმანერთ შორის და ტაძარში მიჰქონდათ თვისი ოცნებანი მომავალის კვირის განცხრომით გატარებისა. მაგრამ ხალხის ბრბო მალე დაჰფარა მანძილმა გზისამ; ჰაერში ხმა მისწყდა უკანასკნელად ჩამოკრულის ზარისა და კვლავ ყოველივე სადღესასწაულოდ მიჩუმდა.

დიდის საიდუმლოს ალღო აჰყვა დაწყებულის მოძრაობის ასე უცბად შეწყვეტას, თითქოს ამ დუმილში მოახლოვდებაო სასწაული, რომელიც იქაურობას სიცოცხლესა და განახლებას შთაბერავსო. და მართლაც, ჯერ აღმოსავლეთი არ გაალისფრებულიყო, რომ სასურველი სასწაული მოხდა: აღსდგა შეგინებული და ჯვარ-ცმული ღმერთი! აღსდგა ღმერთი, რომელსაც დასაბამიდგანვე შეჰღაღადებენ ტვირთ-მძიმენი და უძლურნი: „უფალო! შენ შეგვეწიენ!“

აღსდგა ღმერთი და აღავსო თვისით მსოფლიო. ვრცელი მინდორველი წამოდგა მისდა მისაგებებლად თვისის თოვლითა და ქარბუქით. იმასვე მიჰყვა ძლიერი ტყე, იგრძნო რა მოახლოვება მკვდრეთით აღდგომილისა. ბერმა ნაძვებმა ცად აღმართეს ხავსიანი ტოტები; ას-წლოვანმა ფიჭვებმა თვისნი კენწეროnი აამოძრავეს; ახმაურდნენ ხევნი და მდინარენი; სორო-ბუნაგებიდგან ნადირნი გამოცვივდნენ, ფრინველნი ბუდეებიდგან გამოფრინდნენ; ყველამ იგრძნო, რომ სიღრმიდგან მომავალს რაღაცა ბრწყინვალე, ძლიერი, ნათლისა და სითბოს მომფენი, და გაისმა ღაღადისი: „უფალო! შენ ხარ?“

უფალმა აკურთხა დედამიწა და წყალნი, ნადირნი და ფრინველნი და სთქვა:

— მშვიდობა თქვენდა! მე მოგიტანეთ თქვენ გაზაფხული, სითბო და ნათელი! მდინარეთ ყინულის ბორკილს შევხსნი, მინდორ-ველს მწვანედ შევმოსავ, ტყეს გალობითა და კეთილ-სურნელოვანებით აღვავსებ. ნადირთა და ფრინველთ ვასაზრდოვებ და ბუნებას სიხარულსა და ზეიმს მივსცემ. დეე, კანონი მისი სუბუქ იყოს თქვენთვის; დეე მან ყოველის პაწია ბალახის, ძლივს დასანახავის მწერისათვისაც-კი შემოჰფარგლოს მოედანი, რომელშიაც იგინი აღასრულებენ თავისს ბუნებრივს დანიშნულებასა. არა განსამართლებულ იქმნეთ, რამეთუ აღასრულებთ იმას, რაც დასაწყისიდგან საუკუნისა მოცემული გაქვთ. ადამიანი დაუწყნარებლად ებრძვის ბუნებას, განიცდის მისთა საიდუმლოთა და იმისს შრომას დასასრული არ უჩნს. ეს განცდა საიდუმლოთა მისთვის საჭიროა, რადგან იგია აუცილებელი აღმნიშვნელი მისის კეთილდღეობისა და წარმატებისა. მაგრამ ბუნება თვითვე ძლიერ არს და ეს არის მისი უპირატესობა. არაფერია, თუ ადამიანი ცოტ-ცოტა აპობს მკერდსა დედამიწისასა, არღვევს მისს საიდუმლოთა ფარდას—იგი იმონებს და იმორჩილებს მხოლოდ ატომსა მცირეს, ბუნება-კი კვლავ მის წინაშე სდგას უწინდელებრ მიუკარებელი და სულსა ჰხუთავს თვისის ძლიერებითა. მშვიდობა თქვენდა, ველნო და ტყენო, ნადირნო და ფრთოსანნო! ჩემისა აღდგომისა სხივნიმცა განგათბობთ და განგაცხოველებთ!

აკურთხა რა ბუნება, ახლა ადამიანს მიუბრუნდა. პირველად მიეგებნენ თვალ-ცრემლიანნი, ტვირთსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ჯ. გუბ.), წმ. ჯვარსა (სტა- ვროპ. გუბერ.), თემირ-ხან-შურასა, ...ენტსა და პეტროვსკში (დაღეს- ტანის ოლქ.), გარდა ამისა შინაგან საქმეთა მინისტრი თხოულობს, რომ თუ საჭიროება მოითხოვს, საქართვე- ლოს სხვა ქალაქებშიაც შემოიღოს ახალი საქალაქო დებულება. განზრა- ხვა აქვთ დაღესტნის ოლქის საქალა- ქო საქმეთა საკრებულო დაღესტ- ნის ოლქში დააარსონ სამხედ- რო გუბერნატორის თავმჯდომა- რეობით. წევრებად იქმნებიან: გუ- ბერნატორის თანაშემწე, ადგილო- ბრივი ხარჯთ-აღრიცხვისა და შეკრე- ბის ინსპექტორი, ბაქოს ოლქის სა- სამართლოს ბრალმდებლის ამხანაგი, თემირ-ხან-შურის ქალაქის მოურავი და ერთიც თემირ-ხან-შურის საკრე- ბულოს მიერ ამორჩეული რწმუნე- ბული. („მოსკოვ. ვედ.“)

*** ტფილისის რკინის გზის მოხე- ლეთათვის დაარსებულია მაღაზია, რომლიდგანაც რკინის გზის მოხელეთ თვიდგან თვემდე ნისიად გააქვთ ხო- ლმე ყოველგვარი საჭირო სანოვაგე. ვნების კვირაში გაუტეხიათ ეს მაღა- ზია და გაუტანიათ მხოლოდ ჩაი ღი- რებული ოთხას მანეთად. როგორც პოლიციას აღმოუჩენია, ამ საქმის ჩამ- დენნი ისევ ამავე მაღაზიის ნოქარი და ერთიც ღამის დარაჯი აღმოჩენი- ლან. დამნაშავენი დაპატიმრებულნი არიან.

*** 2 აპრილს, აღდგომა დღეს, ტფილისის რკინის გზის მახლობელს სასტუმრო ,,ზოლოტოი იაკორ‘‘-ში ჩამომხტარა ხაშურის რკინის მემაში- ნეს თანაშემწე რუსი, ერთი ვახშამი- კი უჭამია და მერე ოთახიდგან აღარ გამოსულა. მესამე დღეს პოლიციის თანადასწრებით კარები შეამტვრიეს თურმე და აი რა ნახეს: კედელზედ მიეჭედა ლურსმანი, ზედ ჩამოება თო- კი და თავი ჩამოერჩო. იქვე ბარათი იპოვნეს თურმე, რომელშიაც ეწერა: „ჩემს სიკვდილს ნურავის დააბრა- ლებთ, სხვა-და-სხვა სევდამ მომიარა და სიკვდილი ვამჯობინე სიცოცხლე- საო“(?).

*** სოფ. ჯურუყვეთი, (გურია): სამს აპრილს აქაურმა მცხოვრებმა ალექსანდრე მურვანიძემ მუცელში თოფი დაიცა და სამის საათის შე- მდეგ გარდაიცვალა. მიზეზი თავის მოკვლისა არავინ იცის, მხოლოდ გარდაცვალების დროს არაფერი არ სთქვა, გარდა ერთი ტაეპის ლექსისა: ,,არ მსურდა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია‘‘. განსვენებულმა წიგნი არც-კი იცოდა მაგრამ ეს ,,ვეფხის-ტყაოსნის‘‘ სიტყვები სი- მღერებში გაგონებით დაესწავლა. განსვენებული 22—23 წლის ყმა- წვილ-კაციიყო.

*** ს. სვირი, (რკინის გზის სად- გური). 20 მარტს, დილის ოთხ სა- ათზედ, რკინის გზის სადგურის მახ- ლობლად გზის ოსტატმა იოსებ ვარ- დოსანიძემ ნახა გზის ლიანდაგზედ ხელებ მოწყვეტილი კაცი, გვარად მოსესოვი, რომელიც მაშინვე სად- გურზედ მოიყვანა. მოსესოვს პირვე- ლი დახმარება აღმოუჩინა სადგურის უფროსმა ბ. ალბერტმა და სახა- ლხო მატარებლით № 4 ტფილისს გაგზავნა რკინის გზის საავადმყო- ფოში. როგორც ამბობენ, მოსე- სოვი საქონლის მატარებლიდგან გად- მოვარდნილა, რომლითაც, ფუ- ლის უქონლობისა გამო, ჩუმად გა- პარვა მოუნდომებია.

*** ქუთაისი: ეს ერთი კვირაა, რაც წვიმს. აღდგომა დღეს მშვენიე- რი დარი იყო, თორემ წინა დღეებში და შემდეგაც ძალიან ცუდი ამინდე- ბია.

### კორესპონდენცია.

**რაჭა.** როგორც მოეხსენებათ გაზ. „ივერიის“ მკითხველებს, ჩვენში შე- ერთდა ერთად სამი საზოგადოება წე- სისა, ამბროლაურისა და ველევისა. კანცელარია აიშენეს სოფელ ხიმშ- ში, მაგრამ ეხლა სკოლის დაარსება- ზედ დიდი ვაი-უშველებელია ატე- ხილი, ყველას თავიანთ მახლობლად უნდა სასწავლებელი, მაგრამ აღარც ისე მოხერხდა, რომ ერთი სასწავლე- ბელი ყველას კარზედ ჰქონდეს აშე- ნებული (შვიდას-ორმოცი კომლია ახალს საზოგადოებაში). ამიტომ ეხ- ლა სასამართლოს წესით დაიწყეს სა- ჩივარი. ეხლა წესის, კვაცხუთისა და ხიმშის სოფლებმა, რომლებიც სამას მოსახლე გლეხებიდგან შესდგება, მო- ილაპარაკეს და სცნეს საუმჯობესოდ, რომ თავისთვის დაიარსონ ერთი ორ-კლასიანი სასწავლებელი საბა- ლოსნო განყოფილებით. ამ რი- გად საქმეს ის ბოლო მოსდევს, რომ ერთის მაგიერ ორი ორ-კლასი- ანი სასწავლებელი საბალოსნო გან- ყოფილებით იქნება აქ. ზემორე აღ- ნიშნულ სოფლელების აზრს ველა- რაფერი შეაფერხებს, რადგან ამ სკო- ლის შენობას თავისის მიწით სწი- რავს აქაური მცხოვრები ზურაბ მაი-საშვილი და შემდეგში კიდევ ჰპირ- დება რაიმე სკოლის საზრდო წყა- როს აღმოჩენას; დიდის პატივის-ცე- მის და მადლობის ღირსია ეს კაცი, რომლის განზრახვა და მოქმედება გვიმტკიცებს, რომ იგი ნამდვილი უანგარო მოღვაწეა და დიდი ღვაწლი მიუძღვის. იმედია და დროც არის აქ- აურმა შეძლებულებმაც მიჰბაძონ ამ კაცს, რითაც დიდს სარგებლობას მოუტანენ თავისს ქვეყანას. თორემ ერთი კაცი ბრძოლის ველზედ... რას იქმს.

ერთი მუშაკი.

### (მცირე შენიშვნა*)

(ერთი წერილის გამო)

სწორედ შეცდომა მოუვიდა ერთს თბილელს მასწავლებელს, რომ ყუ- რადღება მიაქცია „კვალის“ შემდეგს მომართვას ჩემდამი: ყველაფერზედ ხელი აიღე და ამ წუთშივე შეუდე- გი სურათებიანის ანბანის შედგენას და გამოცემასაო, თითქო ბ-ნი აღნი- აშვილის ანბანი, მ. გულისაშვილისა და „დედა-ენისა“ სურათებიანი არ იყვნენ. „კვალის“ ხელმძღვანელს молодецъ Георгій-ს (ასეთი ეპი- ტეტი უძღვნა თავისს თავს თვითონ მან ივანე მუხრანბატონის შესახებ რომ წერილი დაბეჭდა). ჩვენი ისეთი ჭკვლები ადგია, რომ იგი ერთს წამ- საც ვერ დაგვივიწყებს და იძულებუ- ლია ყოველ კვირა, ყოველს ნომერ- ში გვიჩხიკინოს და გვილიტინოს. ამ ლიტინს რომ გამოვეკიდოთ, დავემ- გზავსებით სულიერსა, რომელიც სუ- რდოიანს მეზობელს ყოველ ცხვირ და- ცემინებაზედ წამ-და-უწუმ ღვთის წყა- ლობას ეუბნება, ან ზახრუმალას. დეე, ჩვენმა მოდოდეცმა რავდენიც უნდა ივარჯიშოს ლიტინში, ქეიფი გასწი- ოს; ჩვენ მხოლოდ სეირს ვუცქიროთ. სამწუხაროდ მარტო ის როდი დაა- შავა თბილელმა მასწავლებელმა, რომ შეუსაბამო რამე საბაასოდ გახადა. ის ამ შეუსაბამობას შეუსაბამობითვე შეება, შეეჭიდა. „რაკი დედა-ენა“ გვაქვს, სხვა სურათებიანი ანბანის გა- მოცემა წყლის ნაყვა იქნებაო, უპა- სუხა კვალსა, და ამითი ცხადად და- ამტკიცა, რომ ისიც ამისთანა მოლ- ოდეცი ყოფილა პოლემიკაში, რო- გორც ბძანდება ბ-ნი გიორგი.

რადა, ბატონო? რად იქნება წყლის ნაყვა? მეტს სიმდიდრეზედ უარი ვის უთქვამს, რომ ჩვენა ვსთქვათ?. სად დალეულა მჯობნის მჯობნი, რომ ჩვენში დაილიოს. სად გაგონილა იმ- ისთანა სამოსწავლო წიგნი, რომლის უკეთესი ყოვლად შეუძლებელი იყ- ოს? რა მხრიდგანაც უნდა გავშინ- ჯოთ საგანი, ახალი სახელმძღვანე- ლოების დაბეჭდვა სანატრელი აღ- მოჩნდება. თუ ისინი დაბლა იდგები- ან „დედა-ენაზედ“, ეს უკანასკნელი მკითხველის თვალში უფრო მაღლა აიწევს, რადგანაც მრავალთა შორის პირველი იქნება,—თუ იგინი უკე- თესნი გამოდგებიან, ხალხის განათ- ლება, რომელსაც „დედა-ენა“ ემსა- ხურებოდა ამდენს ხანსა, ნაბიჯს წინ გადასდგამს და ეს ჩვენი წიგნისათვის სასიხარულო იქნება, დამერწმუნეთ. გნებავთ ამისი უტყუარი საბუთი წარ- მოგიდგინოთ. ინებეთ. „დედა-ენა“ თითქმის ერთი სამად უფრო დიდია, ვიდრე Родное Слово უშინსკისა და სომხური „მაიენ-დეზუ (სამშობლო ენა) ბ-ნი ტერგევონდიანცისა, რო- მელიც თითქმის ერთად ერთს პირ- ველ-დაწყებითს სახელმძღვანელოს შეადგენს სომეხთათვის. ფასი-კი ჩვენს ქართულს წიგნს იგივე აძევს, ანუ უკედ—ნაკლები, რადგანაც Родное Слово ავტორის სიცოცხლის დროს ღირდა შვიდ შაურად და ამავე ფა- სად იყიდება სომხური წიგნიც. ამ სახით ჩვენი წიგნი სამჯერ იაფია სხვებისაზედ. დედა-ენას რო საზოგა- დო სიკეთე წინ არ წაეძღოლა უპირ- ველესად ყოვლისა, ვინ დააყვედრებ- და ან ერთი-ორად მომცრო გამხ- დარიყო (მაშინაც-კი უფრო დიდი იქნებოდა ორს ხსენებულს უცხო წიგნებზედა), და ან ერთი-ორად მე- ტი ღირებულიყო? ორივე შემთხვე- ვაში ეხლა მისი შემადგენელი შე- ძლებელი, უზრუნველ-ყოფილი იქმ- ნებოდა, მაშინ როდესაც ამ ჟამად მას ორიოდე წლის სარჩო რომ აღ- მოუჩნდეს, ისიც კარგი იქნება.

მართალია, ევროპასა და რუსეთში ყოველს შესაბამ სახელმძღვანელოს თავისი ადგილი უკავია არა ნაკლებ ნახევარ საუკუნისა; მაგალითად: „Родное Слово“, რომელიც ყო- ველ გვარს გაუკეთესოებას მოაკლ- და ოცის წლის წინადვე თავისი ავტო- რის გარდაცვალების გამო, პირველი ადგილი უჭირავს რუსულ სახელმძღვა- ნელოებში აქამომდე, ორმოცის წლის განმავლობაში; მაგრამ რა ვუყოთ? გა- ნა ღმერთი გვიწყენს, რომ ჩვენ ყოველი მხრივ ზანტებმა და უკან ჩა- მორჩომილებმა, აქ, ამ საგანში სის- წრაფით ვაჯობოთ ევროპასა და რუ- სეთსა?...

მაშ გაუმარჯოს იმას, ვინც გამს- ჭვალულია წმინდა სურვილით— მისცეს ქართველს სკოლას და ხალხს „დედა-ენაზედ“ უმდიდრესი და უკე- თესი წიგნი!

ხოლო ჩვენი სახელმძღვანელოს წინააღმდეგ ლაღადებენ არა ამისთანა წალმართნი პირნი, არამედ სრული- ად სხვა ჯურის ვაჟბატონები. ამათ სუნით გაუგიათ, რომ ახლამდელს ვკულმართს დროში ქართულის ენის შესახებ მოქმედობს ამისთანა პრინ- ციპი: რაც ულატაკესია, ის უკეთე- სიაო. შეუგნიათ ესა ამ კეთილშო- ბილ, უანგარო პირთა და გამსჭვა- ლულან სურვილით—გამოსცენ პა- ტარა, საცოდავი, ღარიბ-ღატაკი წიგნაკი, მეგრული და სვანური ან- ბანის ოდენა, რომელიც ხელს შეუ- წყობს ქართულის ენის შეზღუდვას პირველი წლითა და იქმნება ნახევარ- წლითაცა. აი ამ ჯურის სულიერებს ამხნევებს იმედი, რომ „კვალი“ დაბრ- მავებული პირადი ბოროტებით, ხელს მოუმართავს მათ—თავისი მავნებელი განზრახვა განახორციელონ. მაგრამ ტყუილად. ჩვენი სამშობლო ჯერ ისე არ დაცემულა, რომ დაბალმა წა-

---

*) ამ წერილის დაბეჭდვა დაგვაგვი- ანდა.

რედ.

---

ქვეშე მოხრილნი და გაჭირვებულნი და, როდესაც უთხრა: „მშვიდობა თქვენდაო!“, ქვითინი დაიწყეს, პირ- ქვე დაემხვნენ და მდუმარედ სთხოვ- დნენ ხსნასა.

და გული აღდგომილისა კვლავ იმ დიდის მწუხარებით შეტოკდა, რომ- ლითაც აღვსილი იყო გეთსამანიის ბაღში მისდა განმზადებულის სასმე- ლის ლოდინის დროს. ყველა ეს მრავალ-ტანჯული მხედრობა, მის წინ დამხობილი, მისის სახელისათვის ატარებდა ტვირთსა ცხოვრებისასა; მათ პირველთ მიაპყრეს ყურნი თვი- სნი უფლისა სიტყვას და ღრმად ჩაი- მარხეს გულში. ყველასა ჰხედავდა იგი გოლგოთის სიმაღლიდგან, რო- გორც იტანჯებოდნენ შორს მონო- ბის ბადეში გაბმულნი, და ყველა აკურთხა, ოდეს ჰზიდავდა ჯვარსა თვისსა, ყველას შეჰპირდა ხსნასა. და მას შემდეგ ყველანი მის ნატვრაში არიან, მისკენ მიისწრაფიან და სარწ- მუნოებითა დიდითა მიაპყრობენ ხე- ლებს: „უფალო! შენ ხარ?“

— ჰო, მე ვარ იგი, სთქვა მან: მე განვსწყვიტე სიკვდილის ბორკილნი, რათა მოვსულიყავ თქვენთან, მსახურ- ნო ჩემნო ერთგულნო, თანალმო- ბიერნო ძვირფასნო. მე ყოველთვის და ყოველს ადგილას თქვენთანა ვარ; ყველგან, სადაც-კი დათხეულია სის- ხლი თქვენი, დათხეულია სისხლიცა ჩემი. თქვენ გულითა წმიდითა მი- რწმუნეთ, რამეთუ სიტყვა ჩემი შეიცავს ჭეშმარიტებასა, ურომლი- სოდაც მსოფლიო შესაკრებელია უბედურებისა და ჯოჯოხეთი საში- ნელი. შეიყვარე ღმერთი შენი და მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი —აი ჭეშმარიტება, ნათლად და შე- უხამებლად აღმოთქმული, და ამ ჭე- შმარიტებას უფრო ადვილად მისწვ- დნენ არა ღვთის-მეტყველნი და მწი- გნობარნი, არამედ თქვენ, უზაკველ- ნი და გულ-დამაშვრალნი. თქვენ გრწამთ ჭეშმარიტება ესე და ელით მის მოვლენასა. ზაფხულში, ცხარე მზის სხივებს ქვეშ, საკვეთით ხელში ამას ემსახურებით; ზამთრის დიდს ღამეს, ბოლიან მკვარის სინათლეზედ, როდესაც ღარიბს ვახშამს უსხდებართ, ამასვე ასწავებთ შვილთა თქვენთა. მცირეა სიტყვა ესე თავისდა თავად, ხოლო თქვენთვის ამაშია მთელი აზ- რი ცხოვრებისა და მარად დაუშრო- ბელი წყარო ახალთა და ახალთა სა- უბართა. ამა ჭეშმარიტებით სდგებით დილით, ამასთან ერთად წვებით და- საძინებლად და იგივე მოგაქვთ სა- კურთხეველსა ჩემსა ვითარცა ცრემ- ლი და სულთქმა, რომელიც საკმლის სურნელოვანებაზედ უტკბესად განა- ღებს გულსა ჩემსა. იცოდეთმცა: არა- ვინ იცის როდის დაჰკრავს ჟამი თქვე- ნი, მაგრამ იგი მოახლოვებულ არს. მოვალს ესე სასურველი ჟამი და გა- ჩნდება სინათლე, რომელსა სიბნელე ვერა დასჩაგრავს, და თქვენ განიშო- რებთ თქვენგან უღელსა მწუხარები- სასა, ნაღველისასა და გაჭირვებისასა, რომელიც გაუძლურებთ. კვლავ გე- ტყვით ამას, და როგორც ოდესღაც გოლგოთის სიმაღლიდგან გაკურთხე- ბდით სულთა თქვენთა მოსაპოვებ- ლად, აწცა გაკურთხებთ ახალის ცხო- ვრებისათვის ნათელისა, კეთილისა და ჭეშმარიტების სამეფოსა შინა. ნუმცა მიიდრიკების გული თქვენი სიტყვი- სა ცბიერისაკენ, იყოსმცა იგი წმი- და და უზაკველ, ვითარცა დღემდე ხოლო სიტყვა ჩემი—ჭეშმარიტ. მშვი- დობა თქვენდა!

აღდგომილმა განაგრძო გზა და წინ სხვა ხალხი შემოხვდა. აქ იყვნენ შეძლებულნი, სოფლის მძარცველნი, სასტიკნი მმართველნი, მპარავნიცა, კაცის-მკვლელნიცა, ფარისეველნიცა და უსამართლო მსაჯულნიც. ყვე- ლანი მიდიოდნენ ამა ქვეყნიურის გუ- ლის-თქმით აღვსილნი და მხიარულად საუბრობდნენ; ეგებებოდნენ არა აღ- დგომასა, არამედ მომავალსა სადღე- სასწაულო ამაოებასა. ხოლო შეშ- ფოთებულნი შესდგნენ, იგრძნეს რა მიახლოვება აღდგომილისა.

მათ წინაშეც შესდგა იგი და სთქვა:

— თქვენ შვილნი ხართ ამა საუ- კუნისანი და საუკუნის აზრითვე ჰხელ- მძღვანელობთ. მარტოოდენ სურვილი მოგებისა და ფუფუნებისა გამოქმე- დებთ. ბოროტებასა აღუვსია ცხოვ- რება თქვენი, მაგრამ თქვენ ისე ჰზი- დავთ უღელსა ბოროტებისასა, რომ ერთი ნამცეცი თქვენისა სინიდისისა არ შემდრკალა იმა მერმისის წინაშე, რომელიც მაგ უღელს გიმზადებთ. ყოველივე, რაც გარს გარტყიათ, თქვენდა სამსახურად ქმნილი მიგაჩნი- ათ. ხოლო არა იმიტომ გიპყრიათ მსოფლიო, რომ ძლიერნი იყვნეთ თქვენდათავად, არამედ იმიტომ, რომ ძალი ეგე მამა-პაპათაგანა გაქვთ გარდ- მოცემული. მას შემდეგ ყოველ მხრივ დაცულნი ხართ, და ძლიერთა ამა ქვეყნისათა საუკუნოდ მოვლენი- ლად მიაჩნიხართ. წინ მიდიხართ და გზას იკვლევთ ცეცხლითა და მა- ხვილით; იპარავთ და კაცსა ჰკლავთ, დაუსჯელადა ჰგმობთ კანონსა ღვთი- სასა და კაცისასა; თავი მოგწონთ, რომ ასეთია დასაბამითგან თქვენდა მოცემული უფლება. ხოლო მე გე- ტყვი თქვენ: მოვალს დრო—და შორს არაა იგი—ოდეს ოცნებანი თქვენნი განიბნევიან, ვითარცა მტვერი. უძლურნიცა იგემებენ ძალასა თვისსა; თქვენ-კი იგრძნობთ კინდინესა თქვენ- სა ამა ძლიერებისა წინაშე. მოელოდ- დით ოდესმე ამა საშინელსა ჟამსა? შეუშფოთებიხართ ოდესმე ამა მო- ლოდინსა თქვენისა და შვილთა თქვე- ნისათვის?!

ცოდვილნი მდუმარებდნენ. იდ- გნენ თავ-დახრილნი, თითქო უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილმა გაიმარჯვოს იმისთანა საქმეში, როგორიც არის ხალხის განათლება. „დედა-ენის“ ადგილი შეუძლიან დაიჭიროს უმდიდრესმა შინაარსით და უკეთესმა ენით და არა უღლტაკესმა და უარესმა. უარესი იმარჯვებს მარტო მკვდარს საზოგადოებაში და ჩვენ, ქართველები-კი, ღვთის მადლით, არამც-თუ ცოცხალნი ვართ, არამედ გულში გვიღვივის იმედი აღდგომისა და ამაღლებისა.

იაკობ გოგებაშვილი.

## რუსეთის ცხოვრება.

21 მარტს, ქალაქ რიგაში, შესდგა კომიტეტი, რომელსაც მინდობილი აქვს—მოამზადოს ყოველივე, რაც საჭირო იქნება მომავალ საარხეოლოგიო კრებისათვის. რიგაში განზრახული საარხეოლოგიო კრება რიცხვით მეათე არის.

—

გზათა სამინისტრო ამზადებს პროექტს, რომლითაც განზრახულია რკინის გზებზედ დაბალ მსახურთა შრომის შემცირება და ჯაფის შემსუბუქება.

—

წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში წაიკითხავენ ლექციებს: „რუსეთის პოლიტიკა აღმოსავლეთ ქვეყნებში“. გაზეთი „მოსკ. ვედ.“ ამბობს, რომ ამ ლექციების საგანია—დაამტკიცოს, რომ რუსეთს აზიაში არასოდეს ძალმომრეობა და მტაცებლობა არ უქნია. ეს ლექციები უთუოდ საყურადღებო იქნება, ნამეტურ ზემოდ მოყვანილის აზრის დასაბუთება იქნება საგულისხმიერო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთი „ნოვოე ვრემია“ სწერს, რომ ტფილისის ერთ-ერთს სამკურნალოში შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავი მომხდარაო:

ერთი ახალგაზდა კაცი ც. ბუასიძით ყოფილა ავად. ექიმებს თითქმის მოურჩენიათ კიდეც და უმაწვილს კაცს დედმამასათვის მიუწერია, რომ მალე გამოვალ საავადმყოფოდგანაო. უკანასკნელად ექიმს კარბოლის სიმჟავე მიუცია ავადმყოფისათვის, რომელიც მალე ცუდად შექმნილა და გარდაცვლილა. ამბობენ, რომ ორ პროცენტიან წყალ-ნარევ სიმჟავის მაგიერ ექიმს წამლად ხუთ პროცენტიანი მიუციაო.

იმედი უნდა ვიქონიოთო, დასძენს გაზეთი, რომ სამკურნალოს ადმინისტრაცია ადგილობრივს გაზეთებში გამოაცხადებს ამ საქმის გამოძიების შედეგსაო.

—

ინგლისის გაზეთები ერთხმად ამბობენ, რომ იაპონელების მიერ წარმოდგენილი პირობები მშვიდობიანობის ხელშეკრულობისა ჩინეთთან, სამართლიანიც და ზომიერიც არისო. გაზეთი „Daily Telegraph“-ი, რომელიც ამას წინად ინგლისს ურჩევდა საფრანგეთთან და რუსეთთან შეერთებულად მოქმედებას აღმოსავლეთის საქმეებში, ახლა სრულიად წინააღმდეგს ამბობს და იაპონიასთან მეგობრობას ლალადებს. ეს, რასაკვირველია, მოსალოდნელი იყო. რუსეთსა და ინგლისს შორის მორიგება დროებით კიდევ საფიქრებელია, მაგრამ მათი ინტერესები ისე ეწინააღმდეგებიან ერთი-მეორეს, რომ შეუძლებელია მათი ხანგრძლივი შეკავშირება. ამის შესახებ „ივერიამ“ გამოსთქვა თავისი აზრი (იხ. მეთაური წერილები, „ივერია“ №№ 250, 255 და 257—1894 წ.)

მაინცა და მაინც მერმისს მივანდოთ გამოჩხრეკა იმისა, თუ—რამდენად გულ-წრფელია ისეთი მეტყველება ინგლისისა; ეხლა-კა საჭიროა, ვსთქვათ, რომ ინგლისმა ეს ამბავი დაისვა დღეს ხელზედ, ვითარცა იმისთანა საბუთიანი მაგალითი, რომელმაც ვალად დასდო, სამეგობროდ გაეწვდინა ხელი რუსეთისათვის და ამით საჭირო ფერ-უმარილი წაესო ამისთანა დაფარულ ანგარიშებისათვის, რომელთაც მოითხოვენ არსებითნი გარემოებანი მისის დღევანდელის პოლიტიკისა და რომელნიც არიან სახარბიელნი მარტო ინგლისისათვის. აი აქ არის შიგნეული მიზეზი, რომ ინგლისი სცდილობს დაუახლოვდეს რუსეთს და მორიგების გამო აღძრული გრძნობა, მითამცა მადლობისა, მარტო ჰარავს გულში დამარხულ ანგარიშებისა. ვისაც კი ანგარიშები გაუთვალისწინებია და სწამს მათი მაღ-მომრეობა, იგი ვერას დროს ვერ დაიჯერებს, რომ დაახლოებამ და მეგობრობამ რუს-ინგლისისამ დიდხანს თავი დაიჭიროს, თუნდაც დღეს კიდეც მოხდეს და განხორციელდეს.

ზემოხსენებული „Daily Telegraph“-ი ულოცავს იაპონიას გამარჯვებას და ამბობს:

«იაპონია მოკლე დროში შეიქმნა პირველ ხარისხოვან სახელმწიფოდ შორეულს აღმოსავლეთში; მან ერთბაშად დაიკავა ისეთი ადგილი აზიაში, რომლის დაკავებას რუსეთი რამოდენიმე საუკუნეა სცდილობს, მაგრამ ვერ მოუხერხებიაო. რუსეთი თავის წადილის განხორციელებისათვის ბევრს ხრიკს და ოინს ხმარობსო, მაგრამ იაპონიის ძლევა-მოსილება ამიერიდგან შეაჩერებს მოსკოველთ წინ-მსვლელობასაო აზიაში.

გაზეთი „Times“ აცხადებს, რომ იაპონიისა და ჩინეთის ხელ-შეკრულობა სასარგებლო იქნება ინგლისისთვისაო. ნამეტურ ჩინეთის ნავთ-სადგურებში თავისუფლად შესვლა ყველა სახელმწიფოთა გემებისათვის, ინგლისის პირდაპირი ინტერესიაო.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** სენტ-ანტუანის მახლობლად ახალი სადურგლო სასწავლებელი რომ გახსნეს, რესპუბლიკის პრეზიდენტმა სთქვა თურმე: „მე დაბადებიდგანვე მუშათა გუნდს ვეკუთვნი და თავიც მომწონს. მომავალს თაობას ყველაზედ დიდს დახმარებას იმითი გაუწევთ, თუ რომ შთააგონებთ, რა დიდი პატივი აქვს შრომას იმ გვარს დემოკრატიულს ქვეყანაში, როგორიც არის ჩვენი სამშობლო.“

—

**ამერიკა.** შეერთებულის შტატების პრეზიდენტმა კლიველანდმა გამოაცხადა, რომ მესამედ აღარ ვიყრი კენჭს რესპუბლიკის პრეზიდენტობაზედაო.

—

**შვეცია.** წარსულ წლებთან შედარებით არასოდეს არ დახარჯულა სამხედრო საქმისათვის იმდენი ფული, რაც წელს იხარჯება.

ჯავშნიან ხომალდების ასაგებად განზრახვა აქვთ გადასდონ სამიდგან ოთხ მილიონ მანეთამდე, ამას გარდა გარდაწყვეტილი აქვთ თვალ-საჩინო თანხა გადასდონ პატრონებისა, სხვა სამხედრო იარაღებისა და ტონსბერგის ნავთ-სადგურის გასამაგრებლად.

—

**იაპონია.** გაზეთ „Daily News“-ს ატყობინებენ, რომ იაპონია ძალიან ამაგრებს ჩრდილო კორეს მხარესაო; აკეთებს სიმაგრეებს, ამაგრებს მთებში გასავალს გზებს და რუსეთის სამზღვართან დიდ-ძალს ჯარს აყენებსო.

**ბოლგარია.** რიზოვის გაზეთმა „ახალგაზდა ბოლგარიამ“ ორჯელ გამოაცხადა ამას წინად, რომ ავსტრიასა და ბოლგარიის შუა საიდუმლო ხელშეკრულობა არსებობსო სტამბულოვის დროიდან. ახლა კარაველოვის გაზეთი „დროშა“ ამტკიცებს—ეს ნამდვილი არისო და წელს ხელშეკრულობის ვადა გადიოდაო, ამიტომ ფერდინანდის მთავრობამ გაგზავნა მარტში ვენას ელჩად სტოილოვი და ხელშეკრულობას კიდევ ახალი ვადა დაუნიშნესო.

## თეატრის მატიანე.

—

სამშაბათს, 4 აპრილს, ბანკის თეატრში დაიწყო წარმოდგენები მალოროსსელთა დასისა ბბ. სუსლოვისა და სუხოდოლსკის მეთაურობით. სეზონი დაიწყო სტარიცკის დრამით „Ой, не ходы, Грицю, та на вечерныци.“ ეს დრამა საუკეთესოდ ითვლება მალოროსსიულს რეპერტუარში და საუცხოვოთაც იყო წარმოდგენილი. განსაკუთრებით კარგად წარმოადგინა მარუსიას როლი ქ-ნ ზარნიცკისამ. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ დასი შესდგება ნიჭიერ მსახიობთაგან და კარგ მომღერალთაგან. საზოგადოება პირველს წარმოდგენაზედ, როგორც მოსალოდნელი იყო, აღტაცებით მიეგება მალოროსებს. ოთხშაბათს, 5 აპრილს, დასმა წარმოადგინა სტარიცკისავე პიესა „Сорочинскій ярмарокъ.“ ეს პიესაც დასმა ხელოვნებით შეასრულა და საზოგადოება ძალიან ასიამოვნა. კარგები იყვნენ თავისს როლებში ზარნიცკისა, სუხოდოლსკი და კომიკი შატკოვსკი.

## წვრილი ამბავი

—

Soleil შემდეგს ცნობებს მოგვითხრობს ფრინველთა სიცოცხლის შესახებ: შაშვი და შინაური ქათამი სცოცხლობენ სამს წლიწადს, ტოროლა და შროშანი—20 წლიწადს, მტრედი-20-23 წ. გრიტი, წერო და ფარშავანგი—24 წ. ბატი 50 წ.; თუთიყუში 60 წ. ხოლო უფავი, ყორანი და გედი ხშირად ასს წლამდისაც სცოცხლობენო.

## ანეკდოტები ბისმარკის შესახებ.

—

ერთხელ ბისმარკი თავისს უფროსთან მივიდა და მთელი საათი იცადა. ლოდინით გადაჯერებულმა ბისმარკმა, როდესაც დაეკითხნენ, რა გნებავთო, წყრომით უპასუხა:

— აქამდის სალაპარაკო მქონდა და ახლა-კი გთხოვთ, რომ დამითხოვოთო.

—

ბისმარკი რომ ფრანკფურტში მოვიდა, გრაფს ვიზიტი გაუკეთა. გრაფმა თავისს სამუშაო ოთახში მიიწვია და უსერთოდ დაუხვდა.

— უჰ! რა ძალიან ცხელა თქვენს ოთახშიო, უთხრა ბისმარკმა და თითონაც სერთუკის გახდა დაიწყო.

გრაფი მიხვდა თავისს შეცდომას და ბოდიში მოიხადა.

—

პრუსიელები პირველად რომ ნიკოლსბურგში შევიდნენ, ერთმა მოქალაქეთაგანმა ლანძღვა დაუწყო პრუსიის ჯარსა. სალდათებმა დაიჭირეს და ცემა დაუწყეს. უცბადვე ხალხი მოგროვდა. მოვიდა თვით ბისმარკიც.

— რა ამბავია?—იკითხა თავადმა. ეს კაცი აგინებდა პრუსიასა და...

— სტყუის, დაიღრიალა ბრალდებულმა, მე, პრუსიას-კი არა, ბისმარკს ვაგინებდიო. ყველამ სიცილი დაიწყო და ბისმარკს შეხედეს.

— გაანთავისუფლეთ—ბრძანა ბისმარკმა. ეგ-კი არა, მაგაზედ უფრო დიდებიც მაგინებენო.

## ანგარიში

ქართულის სალიტერატურო და სადრამატიულო სალამოისა, რო-

---

ჟარესს მოელიანო. მაშინ აღდგომილმა განაგრძო:

— ხოლო ჩემის აღდგომისა სახელით თქვენცა განგიღებთ გზასა ხსნისას. ეს გზა მსჯავრია თქვენისავე სინიდისისა. იგი უტყუარად გარდაგიშლით თვალთა წინაშე თქვენს წარსულს; იგი მოიწოდებს თქვენ მიერ დაღუპულთა სულთა და თავითა თქვენით დარაჯს ჰყოფს მათ; კბილთა ღრჭენა აღავსებს სახლსა თქვენსა; ცოლნი არა იცნობენ ქმართა, შვილნი—მამათა. ხოლო ოდეს გული თქვენი დასჭკნება ურვისა და მწუხარებისაგან, ოდეს სინიდისი თქვენი აღივსება, ვითარცა სასვემელი, სიმწარისა არა დამტევნელი, მაშინ სულნი თქვენთაგან წარწყმედულთანი შეგირიგდებიან და განგიღებენ გზასა ხსნისასა. და არღა იქნება მაშინ არცა მპარავი, არცა კაცის-მკვლელი არცა ანგაარებისა მოყვარე, არცა ფარისეველი, არცა უსამართლო მსაჯული, ყველანი ერთად განიხარებენ საერთო ტრაპეზსა ჩემისა სამყოფელისასა. წარვედით და იცოდეთ, რამეთუ სიტყვა ჩემი ჭეშმარიტება არს.

სწორედ ამ დროს აღმოსავლეთმა ლაჟვარდის ფერი და მიიღო და მისს მკრთალს სინათლეზედ ტყის მახლობლად გამოჩნდა ადამიანის უმსგავსი სხეული, რომელიც ვერხვზედა ჰქანაობდა. დამრჩვალის თავი, თითქოს სხეულისაგან მოწყვეტილიაო, ძირს ეკიდა; ყორნებს თვალები და ლოყები უკვე ამოეჭამათ. თვით სხეული, ალაგ-ალაგ შიშველი სამოსისაგან, სავსე იყო დამსკდარის წყლულებით და ჩირქი სდიოდა. ქარი დამრჩვალის ხელებს აქანავებდა. მტაცებელ ფრინველთა გუნდი ზედ დასტრიალებდა და უფრო უშიშარნი-კი განაგრძობდნენ ჭამასა.

იგი იყო სხეული გამსყიდველისა, რომელმაც თვითვე დასაჯა თავი თვისი.

ყველა იქ მყოფთ შიშითა და ზიზღით მოარიდეს პირი დამრჩვალს, ხოლო აღდგომილსა თვალები რისხვით აენთო.

— ოჰ, განმსყიდველო! სთქვა მან: შენ გეგონა, რომ სიკვდილით იხსნიდი თავს იმ ლალატისაგან, რომელიცა გტანჯავდა; ჩქარა იგრძენ შენი სირცხვილი და ანგარიში გაუთავე სამარცხვინო ცხოვრებას. დანაშაული ისე ნათლად წარმოგიდგა თვალწინ, რომ ძრწოლით უკუ სდექ საერთო სიძულილისა წინაშე და სულის დაღუპვა არჩიე განა? „ერთი წუთიცაო, სთქვი შენდა თავად: და სული ჩემი შთაინთქება უცისკროვანო წყვდიადში, ხოლო გულსა ქენჯვნა სინიდისისა ვერღა მიეახლება“. ხოლო ნუ რამცა იქმნეს შენებრ. ჩამოდი ხისა მაგისაგან, განმსყიდველო! ყორანთა მიერ ნაჭამი თვალები კვლავ დაგიბრუნდეს, წყლულნი განგეკურნოს და კვლავ განგიმთელდეს პირი სახე იმ გვარადვე, როგორიცა გქონდა მაშინ, როდესაც შენგან განსყიდულს ამბორს უყოფდი... სცოცხლობდე!

ამ სიტყვის თქმისათანავე განმსყიდველი ხიდგან ჩამოვიდა, დაემხო აღდგომილისა წინაშე და ემუდარებოდა სიკვდილის დაბრუნებასა.

— მე ყველას ვაჩვენე გზა ხსნისა, განაგრძო აღდგომილმა: ხოლო შენთვის, განმსყიდველო, იგი საუკუნოდ დახშულია. შენ მეგობარი-კი არ მოჰკალ, რომელმაც გული თვისი განგილო, არამედ თავს დაესხი უცბად ბ მიეცი იგი სასჯელსა და გინებასა. ამისათვის სასჯელად სიცოცხლე მომიცია. ივლი ქალაქიდგან ქალაქად, დაბიდგან დაბად, ხოლო ვერსად იპოვნი საფარველსა, რომ თავი შეაფარო. დაჰრეკ კარსა, მაგრამ არვინ განგიღებს; პურს ითხოვ, ქვას მოგაწვდიან; მწყურვალე იქნები-და, მოგცემენ სასვემელსა, რომელი შენ მიერ განსყიდულის სისხლით იქნება სავსე; იტირებ და ცრემლი შენი გარდაიქცევა ცეცხლის ნაკადულად, დასწვავს ღაწვთა შენთა და დააწყლულებს. რომელს ქვაზედაც-კი ფეხს დასდგამ, ყოველი მათგანი გიყვირებს: „წყეულ იყავ, განმსყიდველოო!“ ხალხის კრება სავაჭროზედ განირღვევა შენს წინაშე და ყველას სახეზედ აღმოიკითხავ: „განმსყიდველო! წყეულ იყავ!“ ესეც არა კმარა: ბედი მცირეოდენს ხანს შეგიბრალებს, მეგობარს იპოვნი, გასცემ და ისიც საპყრობილიდგან ამასვე შემოგძახებს: „განმსყიდველო! წყეულ იყავ!“ მიიღებ ნიჭს კეთილის ქმნისას, ხოლო კეთილი ესე შენგან განაშორებს შენ მიერ კეთილის-ყოფილთა გულთა. „წყეულ იყავ, განმსყიდველოო! შეჰღაღადებენ ისინი: წყეულ იყავ შენცა და საქმენიცა შენნიცა!“ ასე სულწაწყმედილი ივლი ერთის საუკუნიდგან მეორე საუკუნემდე და გულს მატლი გიხრავს... სცოცხლობდე, წყეულო, და მომავალ შთამომავალთათვის მაგალითი იყავ იმ დაუსრულებელის სასჯელისა, რომელიც განმსყიდველობასა და გამცემელობას მოელის. აღსდეგ, აღიღე კვერთხის ნაცვლად გრჯა ხისა, რომელსა ზედაც სიკვდილს ეძიებდი,—და წარვედ!

და გაისმა თუ არა სიტყვა აღდგომილისა, განმსყიდველი წამოდგა, აიღო თვისი კვერთხი, და ხმა ფერხისა მისისა ჩქარა მისწვდა იმ მიუწთომელს სივრცეში, სადაც საუკუნო ცხოვრება მოელოდა. დაწრწის იგი დღემდე დედამიწაზედ და სთესს შფოთსა, ღალატსა და ამბოხსა.

ორ-ანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც გამართული იყო 19 მარტს კავკავის საქალაქო თეატრში კავკავის ქართულის სკოლის სასარგებლოდ. შემოსავალი იყო 536 მ. 87 კ.; აქედგან: ბილეთების გასყიდვისაგან 517 მ. 47 კ., პროგრამების გასყიდვისაგან 4 მ. 20 კ. და შემოსწირეს: თ. ა. გ. ჭავჭავაძემ—10 მ. მ. ა. კობიაშვილმა 3 მ., ი. გ. მარჯანოვმა 1 მ. 10 კ. და ზ. რაგოვსკიმ—1 მან. 10 კ. დაიხარჯა სულ 131 მ. 62 კ. აქედგან თეატრის ქირა 65 მ., სახელმწიფო ხარჯი (მარკები)—35 მ. 42 კ., მუსიკის ქირა 18 მ., მეზურნეებს 5 მ., კასსირს—4 მ. 20 კ., პოლიციას—2 მან. და წვრილმანი ხარჯი—2 მ. წმინდა შემოსავალი 405 მან. 25 კ. მიემატა სკოლის თანხას.

სკოლის მზრუნველობა ვალად რაცხს უგულითადესი მადლობა უძღვნას ყველას, ვინც-კი საღამოს გამართვას ხელი შეუწყო.

## ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ვალერიან გუნიას „საქართველოს კალენდარში“ (1895 წ.) არის დაბეჭდილი ჩემი ლექსი „უცხოეთში“, რომლის შინაარსი ამოღებულია ვიქტორ ჰუგოს ერთ-ერთ ლექსიდგან, ამიტომ სათაურის ქვემოთ უნდა იყოს ბრჩხილებში „მიბაძვა ვიქტორ ჰუგოსი;“ მაგრამ, როგორც სჩანს, დედანიდგან გადმოწერის დროს დამვიწყნია ამ წინადადების ჩაწერა ბ. გუნიასთან გასაგზავნ ლექსში. ამ გვარი შეცდომა, ვინ იცის, რას არ ათქმევინებს მკითხველს საზოგადოებას*)...

ამისთვის ვთხოვ მკითხველებს, რომელთაც შეიძლება უკვე პლაგიატობა დამწამეს, მიიღონ ჩემი გულ-წრფელი, უტყუარი შენიშვნა—თავის გამართლება.

მალაქია ბოლქვაძე.

კიევი, 24 მარტი, 95 წ.

—

ნება მოგვეცით თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადო დიდად პატივცემულს ტფილისის ქართულ დრამატიულ თეატრის ამხანაგობას, რომელმაც არ დაიშურა და მოგვაწვდინა ათი თუმანი ჩვენის ღარიბისა და ჯერ კიდევ ნორჩის ფონდის სასარგებლოთ.

გულითადს მადლობას ვუცხადებთ აგრეთვე იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც კეთილ-ინებეს და მიიღეს მონაწილეობა ამ საქველმოქმედო მიზნით გამართულს წარმოდგენაში.

დავშთებით თქვენი მარად პატივის მცემელნი კიევის ქართველ სტუდენტთა მონდობილობით:

მალაქია ბოლქვაძე.
დავით წერეთელი.
შიო ჩიტაძე.

## ᲨᲔᲛᲝᲬᲘᲠᲣᲚᲔᲑᲐ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ გასამართავ ლატარია-ალეგრის შემოსწირეს: ევა მეძონიშვილისამ მშვენიერი ვაზა ყვავილებისათვის და №№—ახალი ვერცხლის „სასუხრე.“

*) დღემდის არ შემეძლო ეს შენიშვნა გამომეგზავნა, რადგან „საქართველოს კალენდარი“ მხოლოდ გუშინ-წინ მივიღე.

მ. ბ.

# ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

4 აპრილი.

**ᲕᲔᲜᲐ.** აქ, სამხრეთ ავსტრიასა, ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში მცირედი მიწის ძვრა იყო. დიდი უბედურება არა მომხდარა-რა, მხოლოდ ლეიბახში იმსხვერპლა ორი კაცი და როდიეში სამი ბავშვი.

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ,** (სამი აპრილი). ხიროშიმიდგან დეპეშით იუწყებიან შანხაიში, რომ ჩინეთსა და იაპონიას შორის მშვიდობიანობა ჩამოვარდნილა, რადგანაც ორთავე მხარეს პირობის ქაღალდზედ ხელი მოუწერიათ.

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ,** 5 აპრილი. „ნოვოსტი“-ს დეპეშა ოდესიდგან: პირველს კონცერტზედ საზოგადოება ცუდად მიეგება მაძინის; გვირგვინის მირთმევა უნდოდათ, მაგრამ დამსწრეთ დაუშალეს. მიზეზად ასახელებენ იმ გარემოებას, რომ ანტრეპრენერებს მეტის-მეტად აუწევიათ თეატრის ადგილების ფასი. თეატრში წესის დასაცველად დიდ-ძალი პოლიციელი იყო მოწვეული.

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ,** 5 აპრილი. იაპონიასა და ჩინეთს შუა მორიგების ჩამოგდების შესახებ ჯერ ნამდვილი ამბავი არა მოდის-რა. „Times“-ის სიტყვით მორიგების პირობანი შემდეგია: კორეს დამოუკიდებლობა; იაპონიამ სამუდამოდ უნდა დაიჭიროს ყველა ის ციხე და მიწა, რომელიც მან ომის დროს დაიპყრო; მის ხელშივე გადადის კუნძული ფორმოზა; ომის ზარალში ჩინეთი აძლევს იაპონიას ასს მილიონს იენს; ჩინეთი და იაპონია ეკვრიან ერთმანერთს კავშირით საერთო ომისათვის. იაპონიის საელჩოს ლონდონში ჯერ არავითარი ცნობა არ მიუღია მშვიდობიანობის შესახებ. „Times“ ამბობს, რომ ეს პირობები სარწმუნო არ არისო: კონტრიბუცია ძლიერ პატარა არის; იაპონელებმა მხოლოდ ერთი ციხე—ვეხაი-ვეი—დაიპყრესო და სხვა. სიმართლეს ჰგავს მხოლოდ კორეს თავისუფლება და ფორმოზას გადაცემა.

იოკოჰამიდან იუწყებიან: 3 აპრილს სიმონოსეკში უკანასკნელი სხდომა ჰქონდათ დესპანთ, სხდომა ხუთ საათს გაგრძელდა; ჩინეთის დესპანნი სამშობლოში ბრუნდებიან.

6 აპრილი.

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.** აქ მოსულის ამბებიდან სჩანს, რომ სამხრეთ მანჯურიაში ხოლერა გაძლიერდა. ხოლერა გაჩნდა იაპონიაში, ხიროშიმში, როგორც იწერება ტოკიოდან ჩვენი ელჩი.

ოდესის ქალაქის უფროსისაგან მოსული დეპეშა იუწყება, რომ „ნოვოსტის“ ამბავი, შესახებ მაძინის კონცერტისა—მართალი არ არისო.

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ,** 5 აპრილი. საგანგებო დეპეშა სიმონოსეკიდან ამბობს, რომ მორიგების პირობის ქაღალდზე დღეს ხელი მოაწერეს. ლი-ხუნგ-ჩანგი ჩინეთს ბრუნდება. თიანძინიდან დეპეშით გვატყობინებენ, რომ გამოცხადებულია იმპერატორის ბრძანება, რომლის ძალით ლი ხუნგ-ჩანგს ნება ეძლევა იაპონელთა ულტიმატუმს დაეთანხმოს და მორიგების პირობას ხელი მოაწეროს. იაპონიის პირობა-კი შემდეგია: 200 მილლიონი იენი სამხედრო კონტრიბუცია; თავაზი მიატონგის ნახევარ კუნძულისა 40 გრადუსამდე. ჩრდ. სიგან. დათმობა კუნძულის ფორმოზისა; დაარსება გარდასახადისა საქონელზედ, რომელიც არ აღემატება ორს პროცენტს საქონლის ფასისას; მიცემათ უფლება იაპონელთ, რათა დაარსონ ჩინეთში ქარხნები ბამბეულობის წარმოებისათვის და აგრეთვე სხვა-და-სხვა გვარი მრეწველობაც გაჩინონ ჩინეთშივე. შანჰაიდან დეპეშით იუწყებიან, რომ აქაურს ამერიკის კონსულს მოსვლია წუხელის ფორსტერისაგან დეპეშა სიმონოსეკიდან, რომელშიაც სწერია, რომ იაპონიისაგან დადგენილ მორიგების პირობებს ჩინეთი დაეთანხმა და ორთავე სახელმწიფოს წარმომადგენელებმა მორიგების ქაღალდს ხელი მოაწერესო. „Times“-ს ატყობინებენ პეკინიდან, რომ ლი-ხუნგ-ჩანგზეა დამოკიდებულა მორიგების პირობაზე დათანხმება; მთავრობამ მხოლოდ ზოგადი აზრი გადასცა დესპანს, თუ რა ხასიათისა უნდა ყოფილიყო მორიგება.

პეტერბურგის ბირჟა, 28 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | — „ | 7,48 |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 213¼ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | 101⅝ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | — „ | — „ | 100⅛ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | 101 „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | 99½ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99⅝ | — „ | — „ |

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ფ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა,** 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ბ. კარაპეტიანცი,** 1—1½, საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი,** 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½, საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

!!ერიდეთ, არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური
ბორნო-ციმოეულის საპონი
**Გ. Ფ. ᲘᲣᲠᲒᲔᲜᲡᲘᲡᲐ**

აქრობს ჭორფლს, სიცხისგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე ჰსპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

ფასი თვითო ნაჭერისა 50 კაპ.,
½ ნაჭერი 30 კაპ.

ისყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში ავშუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთანა და არისტაკოვთან.

(24—1153—1)

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

ᲗᲮᲖ. Დ—ᲠᲘᲡ ᲚᲝᲠᲔᲜᲪᲘᲡᲐ.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

ქ. ფოთში
თეოფილაქტოვის კანტორაში
ისყიდება
მარსელიის კრამიტი
უპირველესის ხარისხისა
(5—1152—1)

მაქვს **ᲗᲐᲜᲮᲐ** და **ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ** და **ᲑᲐᲚᲝᲜᲝᲑᲘᲡᲐ.** ვეძებ მამულის მქონე კომპანიონს, მსურს ამხანაგობა შევადგინო. მსურველთ შეუძლიანთ „ივერიის“ რედაქციის ადრესზედ გამოჰგზავნონ წერილები.

(6—1015—3)

დამზღვევი საზოგადოება
„ᲘᲐᲙᲝᲠᲘ“
(დუზა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს
გარდა სათადარიგო ფულისა.

ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვერდს პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებული ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—›)


Дозвено цензурою, Тифлисъ 6-го Апрѣля 1895 г. | სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა | რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე